პროექტის ფაქტები

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

ასოცირების შეთანხმების განხორციელების მხარდაჭერა - II

განხორციელების ვადა: 01.02.2019 - 05.01.2024

EaP ქვეყნები:
Georgia

ევროკავშირის წვლილი: € 3 346 600

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):
IBF International Consulting

სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:
www.facebook.com/AAFacility

პროექტის ვებსაიტები: www.facebook.com/AAFacility

პროექტის აღწერა:

პროექტი ტექნიკურ დახმარებას უწევს საქართველოს მთავრობასა და სამთავრობო უწყებებს, რათა უფრო მეტად გაღრმავდეს ინტეგრაციის პროცესი ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებითა და დღის წესრიგით გათვალისწინებული პრიორიტეტების მიხედვით.

პროექტი აგებულია წინა, მსგავსი პროექტის მიღწევებსა და გამოცდილებაზე და უფრო მეტად აძლიერებს პოლიტიკის შემუშავების, კოორდინაციის, ანგარიშგებისა და მონიტორინგს. იგი ხელს უწყობს სექტორული რეფორმების განხორციელებას და საკანონმდებლო დაახლოებისა და რეგულირების ზეგავლენის შეფასების პროცესს, მთავრობისა და პარლამენტის შესაბამისი ინსტიტუციების პრაქტიკული გამოცდილების გაუმჯობესების, ასევე, საქართველო-ევროკავშირს შორის არსებული შეთანხმებების საკითხებთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობადობის გაზრდისა და ეფექტური კომუნიკაციის უზრუნველყოფის გზით.

მოსალოდნელი შედეგები:

- კოორდინაციის, მონიტორინგის, ანგარიშგებისა და შეფასების გაუმჯობესებული მექანიზმები და პრაქტიკა;
- AA/DCFTA-ის განხორციელების პროცესში, პარლამენტის გაძლიერებული საზედამხედველო მექანიზმი და შესაძლებლობები;
- ეროვნულ დონეზე, ევროკავშირის დახმარების კოორდინაციისა და მონიტორინგის გაუმჯობესებული სამთავრობო მექანიზმები;
- ეროვნული პოლიტიკის დაგეგმვის ჩარჩოსა და საჯარო მმართველობის პრინციპების შესაბამისად, გაძლიერებული AA/DCFTA-თან დაკავშირებული დარგობრივი რეფორმების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესები;
- გაძლიერებული საკანონმდებლო დაახლოების პროცესი, ერთიანი მეთოდოლოგიის გამოყენებითა და ქართული კანონმდებლობის ევროპულ კანონმდებლობასთან შესაბამისობის გაზრდით;
- გაძლიერებული ინსტიტუციური რეფორმის პროცესი ასოცირების შეთანხმების განხორციელების ფარგლებში კონკრეტულ სფეროებში;
- სახელმწიფო ინსტიტუციებსა და ევროკავშირის შესაბამის სააგენტოებსა და პროგრამებს შორის გაძლიერებული თანამშრომლობა;
- სახელმწიფო სააგენტოებში (ძირითადად, იუსტიციის სამინისტრო და საკანონმდებლო მაცნე) გაუმჯობესებული სამართლებრივი თარგმანი;